აუქციონის პირობები

1) აუქციონი ცხადდება ენგურჰესის ჯვარის წყალსაცავის მარცხენა ნაპირზე, ნავმისადგომისა და ჩასასვლელი (ლითონის) კიბის მოწყობის სამუშაოების მოწყობის მიზნით;

2) გამარჯვებულ პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს ოპერირებისა და მომსახურების გამოცდილება ამ ტიპის ან/და მსგავს პროექტებში. ის უნდა ფლობდეს (საკუთრების, სარგებლობის (იჯარა) უფლებითა ან/და კანონით გათვალისწინებული სხვა უფლებებით) თანამედროვე სტანდარტების შესაბამის მცურავ საშუალებებს (სასურველია, იყოს ეკომეგობრული).

3) აუქციონში გამარჯვებულს აღნაგობის უფლებით, გადაეცეს შპს „ენგურჰესის“ საკუთრებაში არსებული 9740 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 47.14.47.201) 639 (ექვსას ოცდაცხრამეტი) კვ.მ მიწის ნაკვეთი და 7837102 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 47.15.32.653) 866 (რვაას სამოცდაექვსი) კვ.მ მიწის ნაკვეთი, ხოლო იჯარის უფლებით გადაეცეს - 7837102 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 47.15.32.653), წყალსაცავში არსებული 3000 (სამი ათასი) კვ.მ ტურისტული მარშრუტი.

4) მიწისა და წყალსაცავში არსებული ტურისტული მარშრუტის სარგებლობის ვადა აღნაგობის უფლებით განისაზღვროს 20 (ოცი) წლით. სარგებლობით გათვალისწინებულ ვადაში, დადგინდეს მაქსიმუმ 2 (ორი) - წლიანი საშეღავათო პერიოდი, რომელიც ნავმისადგომის მოწყობის სამუშაოებს ითვალისწინებს; აღნაგობის უფლებით სარგებლობის ვადის ათვლა საზღაურით დაიწყება ნავის მისადგომისა და ჩასასვლელი (ლითონის) კიბის მოწყობის სამუშაოების დასრულების დღიდან.

5) 7837102 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 47.15.32.653), წყალსაცავში არსებული 3000 (სამი ათასი) კვ.მ ტურისტული მარშრუტით სარგებლობის თანხა განისაზღვროს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 24 აგვისტოს N5005480723 დასკვნის საფუძველზე მიღებული წლიური საიჯარო ქირით, რომელიც საორიენტაციოდ 21600 (ოცდაერთი ათას ექვსასი) ლარს შეადგენს, ხოლო იმავე მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 47.15.32.653), წყალსაცავში არსებული 866 (რვაას სამოცდაექვსი) კვ.მ მიწის ნაკვეთის აღნაგობის უფლებით სარგებლობის თანხა განისაზღვროს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2024 წლის 23 დეკემბრის N5007831824 დასკვნის საფუძველზე მიღებული აღნაგობის უფლების საზღაურის (ქირის) საბაზრო ღირებულებით, რომელიც საორიენტაციოდ შეადგენს 5280 (ხუთი ათას ორას ოთხმოცი) ლარს წლიურად, ხოლო 9740 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 47.14.47.201) 639 (ექვსას ოცდაცხრამეტი) კვ.მ-ზე - 3960 (სამი ათას ცხრაას სამოცი) ლარს წლიურად;

6) „საწყის ფასად“ მითითებულ უნდა იქნეს აღნაგობის უფლებისა და საიჯარო ქირის ჯამური წლიური საბაზრო ღირებულება, რომელიც 30840 (ოცდაათი ათას რვაას ორმოცი) ლარს შეადგენს. საზღაურის გადახდა უნდა განხორციელდეს ყოველთვიურად ან/და მხარეთა შორის შეთანხმების საფუძველზე სხვა პერიოდულობით.

7) გამარჯვებულ პრეტენდენტს განესაზღვროს ნავმისადგომისა და ჩასასვლელი ლითონის კიბის მოწყობა შპს „ენგურჰესის“ დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებული პროექტის შესაბამისად; ამასთანავე, შესაძლებელია გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ ამ პროექტში ცვლილების შეტანა კომპანიასთან შეთანხმების საფუძველზე.

8) გამარჯვებულ პრეტენდენტს განესაზღვროს ნავმისადგომის მოწყობასთან დაკავშირებით საჭირო დოკუმენტაციებისა და ნებართვების მოპოვება;

9) ვიზიტორთა ნავით მომსახურებაზე დაშვება მოხდეს შპს „ენგური ატრაქციასა“ და გამარჯვებულ კომპანიას შორის შეთანხმების საფუძველზე (შპს „ენგური ატრაქციის“ მიერ დადგენილი ფასებისა და ტურისტული ნაკადების რეგულირების წესების შესაბამისად).

10) მაქსიმუმ 2 (ორი) წლის ვადაში გამარჯვებულმა პრეტენდენტმა დაასრულოს დამტკიცებული პროექტის შესაბამისი სამუშაოები.

11) ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 თვის ვადაში გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი.

12) მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ გეგმა-გრაფიკის თანახმად, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ვადით პროექტის უზრუნველყოფის გარანტია (30 000 ლარი).

13) შპს „ენგურჰესსა“ და აუქციონში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის აღნაგობის ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს აუქციონის დასრულებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.